




ქ. დედოფლისწყარო



29. 09.2016 წელი

ქ. დედოფლისწყარო,

მ. კოსტავას ქ. №44

ტელ. 0356 2222 25

www.dedoplistskaro.ge

ელ.ფოსტა: dedoplistskaro\_region@yahoo.com

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის

### ბრძანება № 600

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რიგი მოქალაქეებისათვის 2016 წლის სექტემბრის თვის ბინის ქირის დასაფარად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 თებერვლის №04 დადგენილებით დამტკიცებული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამის მე-11 მუხლის მე -12 პუნქტისა და პროგრამის ბიუჯეტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რიგი მოქალაქეებისათვის 2016 წლის სექტემბრის თვის ბინის ქირის დასაფარად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებისათვის გათვალისწინებული ხარჯებიდან, გამოიყოს 1362 (ერთი ათას სამოცდაორი) ლარი სამემოსავლო გადასახადის გარეშე, დანართის შესაბამისად. დანართი (სია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რიგი მოქალაქეებისა, რომელთაც გამოეყოთ ფულადი დახმარება 2016 წლის სექტემბრის თვის ბინის ქირის დასაფარად) - 1 ფურცელი, თან ერთვის.
2. მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა (ელენე ბაიაშვილი) უზრუნველყოს აღნიშნული თანხის ჩარიცხვა შესაბამის საბანკო ანგარიშებზე დანართის (ერთი ფურცელი) შესაბამისად და სამემოსავლო გადასახადის გადარიცხვა, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება მუნიციპალიტეტის გამგებელთან (ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. № 44) და შემდგომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ. № 2) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოლომონ ღორაშვილი  
გამგებლის პირველი მოადგილე

